ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3698022

ნომერი: AR1555293

თარიღი : 07.11.2017

გაცემის თარიღი : 12.12.2017

გაცნობის თარიღი : 12.12.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გ. გულუას ქუჩის დასაწყისში / ქალაქი თბილისი , გენერალ გულუას ქუჩის დასაწყისი (ნაკვეთი 01/045);

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ხმალაძე პ/ნ 35001018932
- კ. მაყაშვილის ქ. #1/10

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის საზღვრების მომზადება
- მიწის ნაკვეთის საზღვრების კორექტირება (გარდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მიწის ნაკვეთების საზღვრებისა)

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ AR1555293 ელექტრონულად ატვირთული განცხადება, რომლითაც ითხოვთ სამსახურის პოზიციას წარმოდგენილი ესკიზის მიხედვით ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, გ.გულუას ქუჩის დასაწყისში/ქალაქ თბილისი, გენერალ გულუას ქუჩის დასაწყისში (ნაკვეთი 01/045) არსებული მიწის ნაკვეთის (საკად. კოდი: №01.18.05.001.081) საზღვრებში სერვიტუტის მოხსნას; პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ წარმოდგენილი ესკიზის მიხედვით მიწის ნაკვეთის, მდებარე ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, გ.გულუას ქუჩის დასაწყისში/ქალაქ თბილისი, გენერალ გულუას ქუჩის დასაწყისში (ნაკვეთი 01/045) არსებული მიწის ნაკვეთის (საკ.კოდი:N01.18.05.001.081) საზღვრებში სერვიტუტის მოხსნა სამსახურს ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით შესაძლებლად მიაჩნია (იხ. დანართი). ვინაიდან ცვლილების კანონთან შესაბამისობაში მოყვანა, სცილდება სამსახურის კომპეტენციას, თანდართული ესკიზის მიხედვით ცვლილების რეგისტრაციის განხორციელებაზე შემდგომში უნდა მიმართოთ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.